

**საბანკო მომსახურების პირობების 3.2.16. პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:**

3.2.16. ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების მისაღებად კლიენტს შესაძლოა განესაზღვროს ავტორიზაციის განხორციელების ვალდებულება მარტივი (სახელის და პაროლის ან სახელისა და ერთჯერადი წვდომის კოდის გამოყენება) ან რთული (სახელის, პაროლის და ერთჯერადი კოდის გამოყენება) ავტორიზაციის მეთოდით. ავტორიზაციის მეთოდი ყოველი შესაბამისი დისტანციური არხით/სერვისით სარგებლობისათვის ასევე რეგისტრირდება ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში

**საბანკო მომსახურების პირობების 3.3.1. პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:**

3.3.1. ბარათი(ებ)ს ბანკი დაამზადებინებს კლიენტის მიერ შევსებული ბანკის საფუძველზე და მის შესაბამისად და გადასცემს კლიენტს სარგებლობაში ანგარიშ(ებ)იდან ოპერაციების საწარმოებლად. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას. ბარათის PIN-კოდს ბანკი კლიენტს გადასცემს დალუქული კონვერტის ან კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS შეტყობინების მეშვეობით.